MES 5 23 0000899937

19/07/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი
ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
ლალი სალდაძე- სკოლის წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
ხათუნა ბარაბაძე
მაკა ნადარეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. 2023 წლის 05 ივლისს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 05 და 06 აპრილს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი, N22-ში.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სამივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. მისი განცხადებით, დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის სკოლის მისია იყო მოსწავლეთათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებებად ჩამოყალიბება, საჭირო პირობების, უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა. ექსპერტის განმარტებით, სკოლის მიზანს წარმოადგენდა მაღალი აკადემიური განათლების, ანალიტიკურად მოაზროვნე, კანონმორჩილი, ტოლერანტი, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, რომელიც შეძლებდა როგორც სხვისი, ასევე საკუთარი კულტურის წარმოჩენას. მისივე თქმით, სკოლის საუკეთესო გამოცდილება იყო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობა, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემდა მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა აქტივობებსა და პროექტებში. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, დაწესებულების კურსდამთავრებული სწავლას მომავალი სასწავლო წლიდან განაგრძობდა ჰარვარდის უმაღლეს სასწავლებელში. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების კვების ბლოკს მოპოვებული ჰქონდა ხარისხის „ჰასპის“ სერთიფიკატი. მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული სკოლის ცხოვრებაში ინიციატივების შეთავაზებით და დაწესებულებაში ხორციელდებოდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

ექსპერტთა ჯგუფმა, პირველი სტანდარტთან მიმართებით გასცა რეკომენდაციები, კერძოდ მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მათივე პროგრესის სანახავად, დაწესებულებას შეემუშვებინა რეკომენდაციები, რაც მათ დაანახებდა მოსწავლეთა საჭიროებებს, რის შემდეგაც დაგეგმავდნენ შესაბამის ინტერვენციებს და მონიტორინგის საშუალებით შეამოწმებდნენ მოსწავლეთა პროგრესს.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ საგნის მასწავლებლებს გაეწერათ დეტალური და კონკრეტული გეგმა გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებისთვის.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა, მეორე სტანდარტთან მიმართებით გასცა რეკომენდაცია, რომ სკოლას განეხორციელებინა სკოლის და სკოლამდელი დაწესებულების გამიჯვნა. უსაფრთხოების მიზნით, კი საქვაბე სივრცე მოეწყო სკოლის გარეთ, შენობისგან მოშორებულ ადგილას. ასევე, დაწესებულებას გადაემოწმებინა ლიფტის ტექნიკური მდგომარეობა. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია, ექიმს ეწარმოებინა ჟურნალი საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, მასწავლებლის შერჩევის წესის ნაწილში დაწესებულებას კონკრეტულად გაეწერა მასწავლებლის კონკურსის მესამე ეტაპისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მისივე განმარტებით, სკოლას დაუდგინა ხარვეზი მე-3 სტანდარტის ნაწილში, რაც გამოიხატებოდა კონკურსის წესის გარეშე სპორტის მასწავლებლის დასაქმებაში.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ჰქონდა მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები (შეფასების სისტემა). სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას მესამე მოდელის საათობრივი ბადე შეთანხმებული ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, სკოლა მოსწავლეებს ფართო არჩევანს სთავაზობდა არაფორმალური განათლების კუთხით, რაც გულისხმობდა წრეების, კლუბების, საშაბათო სკოლის, გახანგრძლივებული ჯგუფის სერვისებს.

ექპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რა სტრატეგიებს იყენებდნენ მასწავლებლები სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის. მისი განმარტებით, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მსგავს პროცესებში სკოლას ფსიქოლოგი ჰყავდა ჩართული.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლას ჰქონდა გაწერილი მონიტორინგის გეგმა. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება აწარმოებდა „მშობლებთან ურთიერთობის წესს“, რომელიც დამტკიცებული იყო 2020 წლის 28 დეკემბერს დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #2-236). აღნიშნულ დებულებაში გაწერილი იყო მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, რომლის მიხედვითაც მშობელი სკოლაში ცხადდებოდა: დირექციის, დამრიგებლის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით, ყოველი კვირის პარასკევს (სურვილის შემთხვევაში); თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევდა გასაუბრებას რომელიმე საგნის პედაგოგთან, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფდა მათ შეხვედრას.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი. სკოლა, საკუთრების უფლებით ფლობდა მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას. შენობა იყო ხუთსართულიანი, მისი საერთო ფართი წარმოადგენდა 2682,3 კვ.მ-ს, ხოლო მიწის ნაკვეთის ფართი იყო 3000 კვ.მ. სკოლა იყო 4 სართულიანი და ჰქონდა მანსარდაც. მანსარდაში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი სივრცეები. დაწესებულებას ჰქონდა 19 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა 380 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ასევე, შენობას ჰქონდა სპორტდარბაზი და გასახდელები გოგონებისა და ვაჟებისთვის. ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიითა და შესაბამისი ინვენტარით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლა დაფიქსირებული შეუსაბამობების გათვალისწინების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქვაბის გადატანის პროექტი უკვე მომზადებული იყო, რომელიც გადაიგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, სკოლა ელოდებოდა დასკვნას, რის შემდეგაც დაწესებულება დაიწყებდა შენობის მშენებლობას სკოლის ეზოში, სადაც იგეგმებოდა საქვაბის გადატანა. ლიფტის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ტექნიკურ პერსონალთან, რომელმაც შეამოწმა ლიფტის ტექნიკური მდგომარეობა. სკოლის წარმომადგენლის, განმარტებით, შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი მიიღებდა სერთიფიკატს ლიფტის უსაფრთხოების თაობაზე, რის შედეგადაც სამი წლის განმავლობაში, გამოიყენებდა ლიფტს. მისივე თქმით, დაწესებულებამ ექიმის ჟურნალების აღწერაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო და სასწავლო წლის დაწყებამდე მოიყვანდა მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ახალ სტანდარტებთან მიმართებით შესაბამისობაში უნდა მოეყვანა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი. შესაბამისად, მიზანშეწონილად

მიაჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის გათვალისწინებით, 2024 წლის 01 სექტემბრის შემდეგ დაწესებულებაში ადგილზე განხორციელებულიყო მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და შეეფასებინათ სკოლის შესაბამისობა განახლებულ სტანდარტებთან მიმართებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ იზიარებდა თამარ მამსიკაშვილის მოსაზრებას დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ახალ სასწავლო წელს, სკოლას ცენტრში წარმოედგინა საქვაბის გადატანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისი განმარტებით, ის ამ ეტაპზე არ თვლიდა მიზანშეწონილად დამატებით მონიტორინგის განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 380 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 380-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ანგურიძემ, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2023 წლის 05 ივლისი. საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2, მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ნიკო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ:212917174) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 380- ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 05 ივლისი.

დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ცენტრში წარმოედგინა საქვაბის გადატანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ცენტრის წინაშე წარდგენილ იქნა შუამდგომლობა, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის პირველი სექტემბრის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა